№4

აპრილი, 2023წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

სპორტული კომპლექსის მშენებლობა ბოლნისში

გვ3:2

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ორი ახალი საბავშვო ბაღი აშენდება

გვ3:2

ქალაქ ბოლნისში წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები

გვ3:2

სპორტული კომპლექსის მშენებლობა ბოლნისში

ქალაქ ბოლნისში, ახალი სპორტული სივრცის სამშენებლო სამუშაოები ქვემო ქართლის გუბერნატორმა გიორგი დოხტურიშვილმა, მუნიციპალიტეტის მერთან, მოადგილეებთან და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად მოინახულა.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით კომპანია „ბინექსი" ახორციელებს და ძირითადად ადგილობრივი მუშახელია დასაქმებული. კომპლექსის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს. ახალ მრავალფუნქციურ სპორტკომპლექსში რამდენიმე დარბაზი, საშხაპეები, გამოსაცვლელები და სამედიცინო

ოთახი მოეწყობა, რაც თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებით აღიჭურვება. ბოლნისის მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, მათ შორის, უმნიშვნელოვანესია მულტიფუნქციური სპორტკომპლექსის მშენებლობა, რომელიც მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება.

გიორგი დოხტურიშვილი, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული:

-საზოგადოებაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარება და პოპულარიზაცია, ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია, სწორედ ამ მიზნით, ბოლნისს 2023 წლის ოქტომბერში ახალი, მრავალფუნქციური, თანამედროვე სტანდარტების მქონე სპორტული კომპლექსი ექნება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ორი ახალი საბავშვო ბაღი აშენდება

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ახალი პროგრამა -საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია იწყება, რომლის ფარგლებშიც დაბა კაზრეთში 300 ბავშვზე, ხოლო სოფელ მამხუტში 150 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღი აშენდება.

პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ინიცირებული და დამტკიცებული სამთავრობო პროგრამით, მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტში, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და უკვე არსებულის რეაბილიტაცია ეტაპობრივად განხორციელდება. დაბა კაზრეთისა და მამხუტის გარდა, ახალი საბავშვო ბაღები ნახიდურში, ტალავერში, რაქისუბანსა და დარბაზში აშენდება. უკვე არსებულ საბავშვო ბაღებს რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფლებში: ქვემო ბოლნისი, ტანძია და ქვეში.

მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ქვეყნის მასშტაბით, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობისთვის, უკვე 69 ტენდერი გამოაცხადა, რომლის საერთო ღირებულება 290 მილიონ ლარს შეადგენს.

ქალაქ ბოლნისში წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

ქალაქ ბოლნისის აღმოსავლეთ ნაწილში, მასშტაბური პროექტის ფარგლებში, წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი დოხტურიშვილმა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერთან დავით შერაზადიშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად მოინახულა.

პანდემიის დროს შეჩერებული ისტორიული მნიშვნელობის პროექტის ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, აზიის ბანკის მხარდაჭერით ახორციელებს. ქალაქ ბოლნისში წყალარინების სისტემის ქსელი მოეწყობა, რომელიც თანამედროვე ტიპის გამწმენდ ნაგებობას დაუკავშირდება. ამ ეტაპზე, ჯამში უკვე, 10 000 გრძივი მეტრი ქსელია მოწყობილი.

საკანალიზაციო სისტემის მოწყობის მასშტაბური სამუშაოები 2024 წლის ბოლოს დასრულდება, რომელიც დაფინანსებულია აზიის განვითარების ბანკის მიერ.

დავით შერაზადიშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი:

-სასიხარულოა, რომ პანდემიის დროს შეჩერებული კანალიზაციის მშენებლობის პროცესი ახლა უკვე აქტიურად მიმდინარეობს. მიწისქვეშა კომუნიკაციის მოწესრიგება გვაძლევს საშუალებას ქალაქ ბოლნისში საგზაო ინფრასტრუქტურა მოვაწესრიგოთ. კანალიზაციის ქსელის მოწყობის პარალელურად ქალაქში რამდენიმე ქუჩის რეაბილიტაცია ხორციელდება და ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტსა და USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამას შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა

ქალაქ მარნეულში, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამასა და ბოლნისის, დმანისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს ხელი მოეწერა.

მემორანდუმს ხელი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ თამაზ ჟორჟოლიანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა კევინ მაკლოკლინმა მოაწერეს.

ღონისძიებას, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, USAID საქართველოს დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და მმართველობის ოფისის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი კორინ როტბლუმი ესწრებოდნენ.

ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში მიმდინარე დეცენტრალიზაციის და საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერას, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას.

USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა წარმოადგენს ხუთწლიან ინიციატივას, რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით ხორციელდება და მისი ბიუჯეტი 21 მილიონ

აშშ დოლარს შეადგენს.

ბოლნისის მუზეუმის შესახებ გზამკვლევი დაიბეჭდა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო დეპარტამენტმა, ფონდ „საქართველოს ტრადიციული რეწვის ასოციაციასთან“ ერთად, აშშ საელჩოს დაფინანსებით და მხარდაჭერით განახორციელა პროექტი ,,ბოლნისის მუზეუმი – მრავალფეროვნებისა და ინტეგრაციის კერა“. პროექტის ფარგლებში, ბოლნისის მუზეუმის კოლექციებზე დაყრდნობით, შემუშავდა და დაიბეჭდა რამდენიმე სახის სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსი, რომლის პრეზენტაციაც ბოლნისის მუნიციპალიტეტში შედგა.

მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრის მიერ შემუშავებული იქნა ბროშურა პედაგოგებისთვის, რომელიც სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც ითარგმნა, ასევე მოსწავლეებისთვის შეიქმნა გასართობი კითხვებითა და სახალისო-შემოქმედებითი დავალებებით. მუზეუმში სტუმრად მოსული ოჯახებისათვის მომზადდა და დაიბეჭდა სპეციალური გზამკვლევი, რომელიც სახალისოს ხდის მუზეუმის დათვალიერებას, როგორც ოჯახის მცირეწლოვანი, ასევე ზრდასრული წევრებისთვის.

პროექტის შესახებ ინფორმაცია, დამსწრე საზოგადოებას, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ მიაწოდა. პრეზენტაციას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ვალენტინა ნავერიანი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და ბოლნისის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სკოლების პედაგოგები ესწრებოდნენ.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში კოლხური ხოხობი და კაკაბი გაუშვეს

გადაშენების პირას მყოფ გარეულ ფრინველებს დღეიდან ბოლნისის მუნიციპალიტეტშიც შეხვდებით. ველური სახეობის ფაუნის გამრავლებისა და ბუნებაში აღდგენის მიზნით, ფონდი „ქართუს“ ქველმოქმედების ფარგლებში, სადაც ქორვილას, აგროკომპლესში გამრავლებული 70 კაკაბი და 30 ენდემური ჯიშის კოლხური ხოხობი, სპეციალურად შერჩეულ ტერიტორიაზე ბოლნისშიც გაუშვეს.

საქართველოს მასშტაბით, ბუნებაში ფრინველების გაშვებას ფონდი „განვითარება და გარემო“ ახორციელებს, რომლის მხარდამჭერიც

კომპანია „არემჯია“. ფრინველების გაშვებაში მონაწილეობა ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა და ბუნების მოყვარულებმა მიიღეს.

ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,სიონი'' 68 წლისაა

ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,სიონს'' 68 წელი შეუსრულდა. საიუბილეო ღონისძიება კულტურის სახლში, ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ნომრებით გაიმართა. მოცეკვავეებმა, ქართული სულითა და გენით გაჯერებული სხვადასხვა კუთხის ტრადიციები და კულტურა წარმოადგინეს, მრავალხმიანი ჟღერადობით ახალ თაობას ანსამბლი ,,სიონი'' ალამაზებდა.

საიუბილეო ღონისძიება დაახლოებით ერთი საათი გაგრძელდა. ქორეოგრაფიული ანსამბლის მოღვაწეობის ისტორია გაიხსენეს და მისი დამფუძნებელი, მერაბ ტოგონიძე, დიდი პატივითა და სიყვარულით მოიგონეს. ღონისძიებას, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, ქორეოგრაფიული აკადემიის პრეზიდენტი ალეკო ქართველიშვილი და ვიცე პრეზიდენტი რობერტ ქორჩილავა ესწრებოდნენ.

ანსამბლი 1954 წელს მერაბ ტოგონიძის ხელმძღვანელობით დაარსდა და არაერთი თაობა აღზარდა, „სიონში“ ცეკვავდნენ შოთა ჩაკვეტაძე, ზაურ ხუჯაძე და სხვა გამოჩენილი ადამიანები. ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა არაერთი საერთაშორისო ჯილდო და პრიზი მიიღო. 2019 წელს სანიმუშო საბავშვო სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა, ქორეოგრაფი ბესიკ ტოგონიძე კი ბრწყინვალების ორდენით დაჯილდოვდა.

ბესიკ ტოგონიძე, ანსამბლ „სიონის“ ხელმძღვანელი:

-წელს გვისრულდება 68 წელი. ეს ანსამბლი, მამაჩემის - მერაბ ტოგონიძის ხელმძღვანელობით 1954 წელს ჩამოყალიბდა და დღემდე, თაობათა ცვლით მოდის. 35 წელია, რაც ქორეოგრაფიულ ანსამბლს ვხელმძღვანელობ და ამ ხნის განმავლობაში, არა ერთი ჯილდო მიგვიღია, როგორც ქვეყანაში, ისე ქვეყნის გარეთ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გაწეული თანადგომისთვის დიდი მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერიას, კულტურის ცენტრს და კულტურის სახლის თითოეულ თანამშრომელს.

რობერტ ქორჩილავა, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი:

-დიდი წარმატებები მინდა ვუსურვო ანსამბლ „სიონს“. მოგეხსენებათ ქართულმა ფოლკლორმა და ქორეოგრაფიამ გადაარჩინა საქართველო. ჩვენი კულტურა და ისტორია საუკუნეებს ითვლის. ქართული როკვა დღეს მსოფლიოშია ცნობილი.

ნაქარგებში ჩატეული სულიერი სამყარო

ქართულ ქარგულობას, ოდითგანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართველი ქალების ცხოვრებაში. ხელოვნების ეს სახეობა საშუალებას იძლევა საკუთარი სულიერი სამყარო ტილოზე გადაიტანოს. ძველად, ქარგვაში ჩაქსოვილი ესთეტიზმი იყო პიროვნების გემოვნებისა და შინაგანი ,,მეს“ წარმოჩენის საშუალება, ასეა დღესდღეობითაც. თანამედროვე სამყარო მრავალფეროვანი და საინტერესოა, ხელოვანი ადამიანები ცდილობენ ეს მრავალფეროვნება თავიანთ ნამუშევრებში ასახონ, სწორედ ერთ-ერთი მათგანია რუსუდან ბერიძეც.

,,ბავშვობა ძალიან რთული მქონდა, რადგან 90-იანი წლებიდან მოვდივარ, ვცხოვრობდი ქალაქ ბათუმში, სადაც სტუდენტობაც გავატარე“- იხსენებს ჩვენთან საუბარში იგი.

სტუდენტობის შემდეგ ქალბატონი რუსუდანი საცხოვრებლად უკრაინაში გადავიდა, 2017 წელს კი მშობლიურ მიწა-წყალს დაუბრუნდა. ამჟამად დიასახლისია, თავისუფალ დროს ქარგვას უთმობს, ხელსაქმეს, რომელიც მისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, დიდი მოწიწებითა და რუდუნებით ეკიდება და მასთან დაკავშირებულ სამომავლო მიზნებსაც ისახავს.

- გამარჯობა, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ საოცარი ნამუშევრები გაქვთ, რამდენი ხანია ხელსაქმით ხართ დაკავებული?

- გამარჯობათ, მადლობა ასეთი გულწრფელი შეფასებისთვის, ამ ხელსაქმეს 5 წელია ვემსახურები.

- ერთია, ღმერთმა ნიჭი გვიბოძოს, მეორე, ამ ნიჭს როგორ განვავითარებთ, ვინ გასწავლათ ქარგვა და რა გახდა თქვენი შთაგონების წყარო, ამ საქმიანობის წამოწყებისას?

- თავდაპირველად ჩემი მეგობრების შექმნილი ნამუშევრები შევამჩნიე და ძალიან მომეწონა, რის შემდეგაც სურვილი გამიჩნდა მეც მეკეთებინა ეს ხელსაქმე, მეგობრებმა კი ჩემში პოტენციალი დაინახეს და მასწავლეს ქარგვა.

- ამბობენ, ნამუშევრები ხელოვანს ჰგავსო, რამდენად ამსგავსებთ თქვენს ნამუშევრებს თქვენივე სულიერ სამყაროს?

- ხატწერა ძალიან მომწონს, ნამუშევრებში ყოველ დეტალს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ და ყურადღებას ვაქცევ, რაც ჩემს ხასიათთან ახლოსაა.

- თუ გთხოვთ, რომ გვაჩვენოთ ნამუშევარი, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს რუსუდან ბერიძეს, რომელი იქნება ის?

- ქალი ბავშვითა და ცხვრით ხელში, ნამუშევარში საკუთარი სული მაქვს წარმოჩენილი, როგორც

მცველი და ბავშვთა მზრუნველი. ცხვარი ბედნიერების, სიყვარულის, გამრავლების

სიმბოლოა, ხოლო ქალი, ბავშვით ხელში, გამოხატავს შინაგან სამყაროს, სულისა და გულისთქმას, როგორც მცველსა და ბავშვთა მზრუნველს.

- თქვენი შემოქმედების ძირითადი თემატიკა საეკლესიო სამყაროა, რამ განაპირობა ეს?

- ვცდილობ, ამით ადამიანებში რწმენა გავაღვივო, რაც, ამ დროს ყველაზე მეტად გვჭირდება.

- დაახლოებით რა დროს ანდომებთ ერთი ნამუშევრის შესრულებას?

- გააჩნია ნამუშევარს, სცენარსა და მასალას, ინდივიდუალურია, მაგრამ დაახლოებით 2 კვირიდან 1 თვემდე.

- ზემოთ ვახსენეთ, რომ ძირითადად საეკლესიო მიმართულება გაქვთ არჩეული, თქვენს ნამუშევრებს რომელიმე ტაძარში თუ აბარებთ?

- ჯერ-ჯერობით გამოხმაურება არ ყოფილა რომელიმე ტაძრიდან, მაგრამ ჩვენი სოფლის ტაძარს შევწირეთ ერთი ხატი. ასევე, უკრაინაში, ხარკოვშიც გავგზავნეთ.

- რა არის ყველაზე დიდი სურვილი, რა გინდათ თქვათ თქვენი ნამუშევრებით?

- ყველაზე დიდი სურვილია ფართო საზოგადოებამ გაიგოს ჩემი ნამუშევრებისა და ნიჭის შესახებ. ჩემი მიზანია, პატარა ბიზნესად ვაქციო ეს წამოწყება და ხალხს უფრო მეტი ხელნაკეთი პროდუქტი შევთავაზო, თუ რა თქმა უნდა, ამით დაინტერესებული იქნებიან.

ნანონაწილაკებიდან ახალ მკურნალობამდე - საუბარი ქეთევან ჩუბინიძესთან



ნანოტექნოლოგია მზად არის მედიცინაში რევოლუცია მოახდინოს, მედიკამენტების მიზანმიმართული მიწოდებიდან დაწყებული, დიაგნოზებამდე და მის ფარგლებს გარეთ. ბიოლოგი ქეთევან ჩუბინიძე სწორედ ნანომედიცინით არის დაინტერესებული. იგი თავის გამოცდილებას ინოვაციური გადაწყვეტილებების შემუშავებაში იყენებს.

ამ ინტერვიუში ჩვენ მეტს შევიტყობთ ქალბატონ ქეთევანზე და ნანომედიცინაზე, ასევე, მის ხედვას დარგის მომავალზე, გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე, რომლებიც მედიცინას ელის წინ.

- მოგესალმებით, მოგვიყევით თქვენ შესახებ, როგორც ცნობილია, პროფესიით ბიოლოგი ბრძანდებით. გაქვთ ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლის კვალიფიკაცია და ძალიან მრავალფეროვანი სივი (CV). დასაქმებული იყავით სხვადასხვა პოზიციაზე. გვიამბეთ თქვენი სამუშაო გამოცდილების შესახებ.

- მოგესალმებით, წარჩინებით დავამთავრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი სპეციალობით „მიკრობიოლოგია". მონიჭებული მაქვს ბიოლოგის, ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებლის (დიპლომში ამ სახით მიწერია) კვალიფიკაცია. გავლილი მაქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკო-ლაბორატორიული დიაგნოსტიკისა და კლინიკური ბიოქიმიის სრული კურსები და მიღებული მაქვს დიპლომები შესაბამის სპეციალობებში. ამასთანავე, მაქვს სახელმწიფო სერტიფიკატი, ნებადართული სპეციალობა: ლაბორატორიული მედიცინა. წარჩინებით დავასრულე სწავლა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში. მონიჭებული მაქვს ბიოლოგიის აკადემიური დოქტორის ხარისხი. აქტიურად ვმონაწილეობ საერთაშორისო კონფერენციებში. ვთანამშრომლობ კალაბრიის (იტალია) უნივერსიტეტის, საფრანგეთის და საუდის არაბეთის მეცნიერებთან.

- მუშაობდით ბოლნისის საავადმყოფოშიც, ექიმ-ლაბორანტად, ასევე გამგედ, როგორ გაიხსენებთ ამ წლებს?

- ბოლნისი, ჩემთვის მშობლიური და საყვარელი ქალაქია. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ წლების მანძილზე მიწევდა საუკეთესო კოლექტივთან ერთად მუშაობა. კლინიკის ხელმძღვანელობა და თითოეული თანამშრომელი ყოველთვის ცდილობდა შეექმნათ საუკეთესო სამუშაო პირობები. მიღებული გამოცდილება და უნარ-ჩვევები ძალიან მეხმარება სამეცნიერო სამუშაოებში. დღესაც უდიდეს სიხარულს მანიჭებს ყოფილ კოლეგებთან შეხვედრა.

- როგორც ჩანს, ძალიან დატვირთული ცხოვრების რეჟიმი გაქვთ, როგორ ანაწილებთ დროს სამსახურისა და პირადი ცხოვრებისათვის?

- ყოველთვის გვერდით მედგნენ მშობლები და მიქმნიდნენ ყველა პირობას მეცადინეობისათვის. სწორედ, მეუღლე, შვილები და უახლოესი ადამიანები არიან ჩემი გულშემატკივრები და სტიმულის მომცემები.

- ამჟამად რას საქმიანობთ და, როდის დაინტერესდით ნანომედიცინის სფეროთი?

- ამჟამად ვმუშაობ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კიბერნეტიკის ინსტიტუტში, ბიოკიბერნეტიკული სისტემების განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლად. დოქტორანტურაში ჩაბარების შემდეგ, დავინტერესდი ნანომედიცინით და ნანობიოლოგიით. ჩემი სადისერტაციო ნაშრომიც მეცნიერების ამ უახლეს მიმართულებას ეხება.

- გაგვიზიარეთ თქვენი ცოდნა ამ სფეროში, რათა მკითხველს უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონდეს ნანომედიცინისა და ნანობიოლოგიის შესახებ. რა როლს თამაშობენ ოქროსა და ვერცხლის ნანონაწილაკები სიმსივნური უჯრედების ვიზუალიზაციაში?

- ოქროს და ვერცხლის ნანონაწილაკებს უდიდესი გამოყენება აქვს, მათი უნიკალური თვისებების გამო. ამჟამად, ისინი გამოიყენება არამარტო სიმსივნური უჯრედების აღმოსაჩენად, არამედ მათ დასაშლელად, ამ პროცესს ჰიპერთერმული თერაპია ეწოდება. მსოფლიოში უამრავი უნივერსიტეტი და ლაბორატორიაა ჩართული მეცნიერების ამ პერსპექტიული და მოწინავე მიმართულებებში, ალბათ, შორს არ არის ის დრო, როდესაც მრავალი სახის სიმსივნური დაავადება დამარცხდება. უფრო მეტიც, ჰორიზონტზე გამოჩნდა ნანორობოტებიც, რომლებიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადამიანების სიცოცხლის ხანგრძლივობასა და ხარისხს. საკმარისია ითქვას, რომ ნანორობოტების საშუალებით, მოხდება გენების „შეკეთება" და განიკურნება ისეთი დაავადებები, როგორიცაა ალცჰაიმერი, პარკინსონი, აუტიზმი და ა.შ.

- რა აქცევს ლუმინესცენტურ საღებავებს სასარგებლო ინსტრუმენტად წამლის მიზანმიმართული მიწოდებისთვის?

წამლის მიზანმიმართული მიწოდება თანამედროვე ბიოლოგიის და მედიცინის კიდევ ერთი მოწინავე და სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა. წამლის მიზანმიმართული მიწოდება ნიშნავს წამლის გამოთავისუფლებას ადამიანის სხეულის შესაბამის ადგილზე და სასურველ დროს. მოცემული სტრატეგია საშუალებას იძლევა მკვეთრად შევამციროთ მისაღები წამლის დოზა და თავიდან ავიცილოთ არასასურველი, ე.წ. გვერდითი ეფექტები და დავიცვათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოები, როგორიცაა კუჭი, თირკმელები, ღვიძლი და ა.შ. ლუმინესცენტური საღებავი საშუალებას იძლევა მოვახდინოთ წამლის ლოკალიზაციის უბნების ვიზუალიზაცია.

- შეგიძლიათ მოგვაწოდოთ კონკრეტული მაგალითი იმისა, თუ როგორ იქნა გამოყენებული ნანომედიცინა სამედიცინო მდგომარეობის წარმატებით სამკურნალოდ?

- თანამედროვე მედიცინაში უამრავი წარმატებით განხორციელებული მაგალითებია, რომლებიც უკვე გამოიყენება მსოფლიოს მოწინავე კლინიკებში. ამასთანავე, თითქმის ყოველდღე ახალი მეთოდები ინერგება.

- რა არის მედიცინაში ნანონაწილაკების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი პოტენციური რისკი და შეზღუდვა?

- ნებისმიერ მეთოდს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მათ შორის, მედიცინაში ნანონაწილაკების გამოყენებას. მთავარი პრობლემებია: ბიოთავსებადობა, ორგანიზმიდან გამოდევნა და უჯრედის დნმ-ის დაზიანება. არასასურველი ეფექტების თავიდან ასაცილებლად მიღებულია სხვადასხვა ზომები. როგორიცაა ვერცხლის და ოქროს ნანონაწილაკების ინერტული და ბიოთავსებადი პოლიმერული და ლიპიდური ფენებით შემოგარსვა. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა აქვს ნანონაწილაკების ზომას და ფორმას. მაგალითად, 10 ნანომეტრზე მცირე ზომის ნანონაწილაკები გადალახავენ უჯრედულ მემბრანულ ბარიერს, აღწევენ ბირთვში, აზიანებენ დნმ-ს, იწვევენ არასასურველ მუტაციებს, რაც სიმსივნური უჯრედების წარმოქმნის წინაპირობაა.

- როგორ ხედავთ ნანომედიცინის სფეროს განვითარებას მომდევნო 5-10 წლის განმავლობაში?

- თანამედროვე მეცნიერება და ტექნიკა ისე სწრაფად ვითარდება, რომ ძალიან რთულია ზუსტი პროგნოზის გაკეთება. სავარაუდოდ, უახლოესი 5-10 წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი პროგრესი იქნება მიღწეული, ისეთი დაავადებების პრევენციასა და მკურნალობაში, როგორიცაა დიაბეტი, სიმსივნეები, გულ-

სისხლძარღვთა დაავადებები და ა. შ.

- რა არის ყველაზე დიდი გამოწვევები სამედიცინო სფეროში ნანოტექნოლოგიებთან მუშაობისას?

- ნანოტექნოლოგიებთან მუშაობისას დიდ გამოწვევას წარმოადგენს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სიმწირე, ვინაიდან ხელსაწყოები და ნივთიერებები ძალიან ძვირია. ამასთანავე, დაბალია ახალგაზრდების ჩართულობა.

- რა ეთიკური მოსაზრებები უნდა იქნას გათვალისწინებული ადამიანებში ნანომედიცინის გამოყენებისას?

- თანამედროვე მსოფლიოში ნანონაწილაკების ადამიანზე გამოყენების საყოველთაოდ მიღებული ეთიკური ნორმებია: რისკების შეფასება, რისკების მართვა და კლინიკურ კვლევებში რისკებთან კავშირი.

- და ბოლოს, რა რჩევას მისცემდით ახალგაზრდა მეცნიერებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ნანომედიცინის სფეროში მოღვაწეობით?

- ძალიან ბევრი ახალგაზრდა დაჯილდოებულია ნიჭით, აქვთ შესაბამისი განათლება, უნარ-ჩვევები და აღსავსე არიან ენთუზიაზმით. თუმცა, მიზნის მიღწევა მოითხოვს ყოველდღიურ დაუღალავ შრომას. დაინტერესებულ ახალგაზრდებს ვუსურვებ წარმატებებს.

მადლობა, გისურვებთ წარმატებას!

აცერი და დაიცავი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ევროპის რეგიონული ბიურო 2023 წლის 23 - 29 აპრილს აღნიშნავს ევროპის იმუნიზაციის კვირეულს რათა გაზარდოს ცნობიერება იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ დაავადებების პრევენციისა და სიცოცხლის დასაცავად.

საქართველო 2007 წლიდან აქტიურად მონაწილეობს იმუნიზაციის კვირეულში და ახორციელებს სხვადასხვა სახის ფართომასშტაბიან საკომუნიკაციო ღონისძიებებს.

წლევანდელი კვირეული ფოკუსირებული იქნება ვაქცინაციის პროცესის გაუჯობესებაზე ევროპის იმუნიზაციის 2030 წლის დღის წესრიგის კონტექსტში და COVID-19 პანდემიის გამო ვაქცინაციის მაჩვენებლების გლობალური შემცირების დაძლევაზე. ევროპის იმუნიზაციის კვირეულის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის.

ჯანმოს ევროპის რეგიონი კოორდინირებს იმუნიზაციის კვირეულის ჩატარებას

იმუნიზაციის პროგრამა საქართველოში

იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამას საფუძველი ჩაეყარა 1996 წელს; პროგრამის მიზანია, გლობალური და რეგიონალური მიზნების შესაბამისად, მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდების გზით, აცრებით მოცვის სათანადო მაჩვენებლის მიღწევა ქვეყნის მოსახლეობის ვაქცინით მართვადი ინფექციებისაგან დასაცავად.

რუტინული ვაქცინაციის სქემა დამოკიდებულია ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ და პროგრამულ თავისებურებებზე; ქვეყნის მოსახლეობის ვაქცინაცია რეგულირდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კანონისა და პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრის შესაბამისად.

0 - 18 წლის ასაკის მოსახლეობის ვაქცინაციას სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 ინფექციის - ტუბერკულოზის, დიფთერიის, ყივანახველას, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, ყბაყურას, წითურას, წითელას, B ჰეპატიტის, როტავირუსული ინფექციის, ადამიანის პაპილომავირუსის, პნევმოკოკური ინფექციის და ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი b საწინააღმდეგო ვაქცინაციას 9 ვაქცინის საშუალებით: BCG, HepB, DPT-Hib-HepB-IPV, DPaT/IPV, Td, MMR, Rota, PCV, HPV; ქვეყანაში გამოიყენება WHO-ს,EMA-ს, FDA -ს მიერ რეკომენდებული და აღიარებული ვაქცინები, რაც მაღალი ეფექტურობისა და უსაფრთხოების გარანტია; პროგრამული ვაქცინები უფასოა მომხმარებლისთვის - ვაქცინის ღირებულებას სრულად ფარავს სახელმწიფო იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში. ამავე პრინციპების დაცვით სახელმწიფო ქვეყნის მოსახლეობას უზრუნველყოფს გრიპის, ანტირაბიული, ყვითელი ცხელებისა და COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინებით, ზოგიერთი დაავადების/მდგომარეობის საპროფილაქტიკო ან სამკურნალო ბიოაქტიური პრეპარატებით.

იმუნიზაციის პროგრამის მიღწევები:

- 2002 - საქართველო სერთიფიცირებული იქნა როგორც ველური პოლიომიელიტის ვირუსისაგან თავისუფალი ტერიტორია
- ბოლო 10 წლის განმავლობაში იმუნიზაციის კალენდარში დაინერგა 5 ახალი ვაქცინა და ეროვნული კალენდარი თითქმის სრულად მიუახლოვდა განვითარებული ქვეყნების აცრების კალენდარს;
- იმუნიზაციის სახელწიფო პროგრამის ბიუჯეტი მდგრადი და მზარდია, პროგრამა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ;
- ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფოს დაფინანსებით მნიშვნელოვნად განახლდა და გაუმჯობესდა ქვეყნის ცივი ჯაჭვის სისტემა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- 2002 წლიდან ქვეყანაში მოქმედებს B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის უნივერსალური კალენდარი - წლამდე ასაკის ბავშვთა ოთხჯერადი ვაქცინაცია, ორსულთა სკრინინგი HBsAg-ზე და დადებითი შედეგის შემთხვევაში, ახალშობილთა აცრები HepB მონო ვაქცინით და იმუნოგლობულინით;
- 2022 წელს საქართველომ მიაღწია B ჰეპატიტის კონტროლის რეგიონულ მიზნებს იმუნიზაციის საშუალებით;
- 2020 წელს საქართველო წითურას ვირუსისგან თავისუფალ ქვეყნად გამოცხადდა;
- სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია წინასწარ შერჩეულ რისკ-ჯგუფებში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად;
- რუტინულ ვაქცინაციასთან ერთად, იმუნიზაციის პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება დიფთერიის, ბოტულიზმის, ცოფის, ტეტანუსის, ყვითელი ცხელების, გველის ნაკბენის პროფილაქტიკა და მკურნალობა;
- 2019 წელს ქვეყანაში ამოქმედდა პროფესიული ჯგუფის სავალდებულო ვაქცინაციის კალენდარი.

- 2021 წლიდან ხორციელდება ქრონიკული დაავადების მქონე 65 წლის და უფროსი ასაკის პირებისა და ხანდაზმულთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების ბენეფიციარების პნევმოკოკური ინფექციის საწინააღმდეგო ვაქცინაცია;
- საქართველოში იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 2017 წლიდან 10-11-12 წლის 61 000-ზე მეტმა გოგონამ მიიღო აპვ ვაქცინის პირველი დოზა, ხოლო 35000-ზე მეტმა დაასრულა აცრების ორდოზიანი კურსი;
- გამომდინარე იქიდან, რომ 2020 წელს ჯანმრთელობის მსოფლიო ასამბლეამ მიიღო საშვილოსნოს ყელის კიბოს ელიმინაციის გლობალური სტრატეგია და ამ მიზნის მისაღწევად ყველა ქვეყანამ უნდა მიაღწიოს და შეინარჩუნოს 100 000 ქალზე ინციდენტობის 4-ზე დაბალი მაჩვენებელი. აღნიშნული ეყრდნობა სამ ძირითად მიზანს და აქედან ერთ-ერთია ვაქცინაცია, კერძოდ, 2030 წლისთვის ქვეყნებმა უნდა მიაღწიონ 15 წლამდე გოგონების 90%-იანი მოცვის მაჩვენებელს, რომლის შედეგად მომავალი 100 წლის განმავლობაში აცილებული იქნება საშვილოსნოს ყელის კიბოთი გამოწვეული 62 მილიონი სიკვდილის შემთხვევა; აღიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია აპვ ვაქცინაციით მოცვის მაღალი მაჩვენებლის მისაღწევად ყველა დაინტერესებული მხარის ერთობლივი ძალისხმევა და ჩართულობა ვაქცინაციის პროცესში.
- 2023 წლიდან სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაცია 13 – 26 წლის გოგონების ასაკობრივ ჯგუფებში;

კვირეულის ძირითადი გზავნილებია:

- იმუნიზაცია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის სახიფათო დაავადებებისგან დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალებაა
- დრო მნიშვნელოვანია: რუტინული იმუნიზაციის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ ბავშვი მისთვის გარდამტეხ მომენტში იყოს დაცული. მიჰყევით იმუნიზაციის კალენდარს, დაიცავით რეკომენდებული ვადები და აღადგინეთ გამოტოვებული დოზები.
- ყველა დოზა მნიშვნელოვანია: თქვენი შვილების სიცოცხლისთვის სახიფათო ინფექციებისგან დასაცავად ბავშვებს ჩაუტარეთ რუტინული იმუნიზაციის კალენდრით გათვალისწინებული ყველა აცრა.
- ისაუბრეთ ვაქცინაციაზე: პაციენტებსა და სამედიცინო პერსონალს შორის ღია საუბარი ვაქცინაციაზე ხელს უწყობს ვაქცინაციის მნიშვნელობისა და საჭიროების უკეთ გააზრებას და აცრების რეკომენდებული გრაფიკის დაცვას.
- ადამიანის პაპილომავირუსის ვაქცინა არის უსაფრთხო და ეფექტური დაცვა საშვილოსნოს ყელის კიბოსაგან.

Hökumətin qərarına əsasən, onkoloji diaqnozu qoyulan 300 uşağın müalicəsi dövlət tərəfindən tam ödəniləcək

. Hökumətin qərarına əsasən, onkoloji diaqnozu qoyulan 300 uşağın müalicəsini dövlət tam şəkildə öz üzərinə götürəcək. Baş nazir İrakli Qaribaşvilinin hökumətin iclasında dediyi kimi, bu məqsədlə təxminən 30 milyon lari ayrılacaq. "Gürcüstanda onkoloji diaqnozu qoyulmuş 300-ə yaxın uşaq var ki, bu da təbii ki, dövlətimiz tərəfindən maliyyələşdirilir, hər il təxminən 10 milyon lari ayrılır. Bildiyiniz kimi, təəssüf ki, Gürcüstanda bu gün xəstələrə tam və keyfiyyətli, yaxşı standartda xidmət göstərmək üçün heç də bütün şərait yaradılmayıb. Bir çox hallarda bu uşaqları xaricdə müalicə etməliyik. Hətta proton terapiyası, radiasiya və s. kimi xidmətlər üçün. bu da minlərlə ABŞ dollarına başa gəlir. Bəzi hallarda bir kurs 100.000 avroya başa gəlir. Təbii ki, vətəndaşlarımızın buna imkanı çatmır.Qərarımıza əsasən, onkoloji diaqnozu olan 300 uşaq tam dövlət tərəfindən maliyyələşdiriləcək. Biz bu uşaqların müalicə olunacağı dünyanın ən yaxşı klinikalarından bəzilərini seçmişik. Büdcə 30 milyon lariyə qədər ayrılacaq və biz müalicə, yaşayış və ya səyahət olsun, bütün xərcləri tam ödəyəcəyik. Qərarımıza əsasən, onkoloji diaqnozu olan 300 uşaq tam dövlət tərəfindən maliyyələşdiriləcək.

Biz bu uşaqların müalicə olunacağı dünyanın ən yaxşı klinikalarından bəzilərini seçmişik. Büdcə 30 milyon lariyə qədər ayrılacaq və biz müalicə, yaşayış və ya səyahət olsun, bütün xərcləri tam ödəyəcəyik. Onkoloji diaqnozu qoyulan bütün uşaqların müalicəsi dövlət tərəfindən maliyyələşdiriləcək. Bu, çox vacib bir qərardır, insanların həyatını xilas etməkdir və bütün belə insanlara kömək etmək bizim borcumuzdur. Nə yaxşı ki, bu məqsədlə müvafiq vəsait tapa bildik", – Qaribaşvili bildirib.

Bolnisi bələdiyyəsində iki yeni uşaq bağçası tikiləcək

Gürcüstanın baş nazirinin təşəbbüsü ilə yeni proqram - uşaq bağçalarının tikintisi-bərpasına başlanılır, bu proqram çərçivəsində Bolnisi bələdiyyəsinin Kazreti qəsəbəsində 300 yerlik, Mamxut kəndində isə 150 yerlik uşaq bağçaları tikiləcək. Baş nazir İrakli Qaribaşvilinin təşəbbüsü və təsdiq etdiyi hökumət proqramı ilə bütün Gürcüstanda, o cümlədən bələdiyyəmizdə yeni uşaq bağçalarının tikintisi və mövcud bağçaların bərpası mərhələli şəkildə həyata keçiriləcək. Kazreti və Mamxuti qəsəbələri ilə yanaşı, Naxiduri, Talaveri, Raçisuban və Darbazidə də yeni uşaq bağçaları tikiləcək. Aşağıdakı kəndlərdə mövcud uşaq bağçaları bərpa olunacaq: Kvemo Bolnisi, Tanzia və Kveshi. Bələdiyyələrin İnkişafı Fondu artıq ölkə üzrə yeni uşaq bağçalarının tikintisi üçün ümumi dəyəri 290 milyon lari olan 69 tender elan edib.

Bolnisi Bələdiyyəsi ilə USAİD-in Yerli Özünüidarəetmə Proqramı arasında anlaşma memorandumu imzalanıb

Marneuli şəhərində USAID-in yerli hökumət proqramı ilə Bolnisi, Dmanisi və Marneuli bələdiyyələri arasında anlaşma memorandumu imzalanıb. Marneuli şəhərində USAID-in yerli hökumət proqramı ilə Bolnisi, Dmanisi və Marneuli bələdiyyələri arasında anlaşma memorandumu imzalanıb. Memorandumu Bolnisi Bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili, Bolnisi Bələdiyyə Şurasının sədri Tamaz Jorjoliani və proqram meneceri Kevin Makloklinma imzalayıblar. Tədbirdə regional inkişaf və infrastruktur nazirinin müavini Mzia Giorgobiani, USAID-in Gürcüstandakı Demokratiya, İnsan Haqları və İdarəetmə Ofisinin direktor müavini vəzifəsini icra edən Korin Rotblum iştirak edib. Yerli Özünüidarəetmə Proqramı Gürcüstanda davam edən mərkəzsizləşdirmə və dövlət idarəçiliyi islahatlarını dəstəkləmək, hesabatlılığı və vətəndaşların iştirakını artırmaq məqsədi daşıyır. USAID-in Yerli Özünüidarəetmə Proqramı ABŞ Beynəlxalq İnkişaf Agentliyi tərəfindən maliyyələşdirilən beşillik təşəbbüsdür və büdcəsi 21 milyon ABŞ dolları təşkil edir. "Mən şadam ki, Bolnisi USAID-in yerli özünüidarəetmə proqramının həyata keçiriləcəyi Gürcüstan üzrə 11 bələdiyyə arasındadır. Bu fürsətə görə Birləşmiş Ştatların Beynəlxalq İnkişaf Agentliyinə və Amerika xalqına təşəkkür etmək istərdim, Gürcüstanda yerli özünüidarənin inkişafı və möhkəmləndirilməsi prosesində ABŞ-ın rolu çox vacibdir və bu gün memorandumun imzalanması təsdiqləndi.Bolnisi Bələdiyyəsi yerli özünüidarəetmə orqanlarının gücləndirilməsinə, mərkəzsizləşdirməyə yönəlmiş oxşar proqramları həmişə dəstəkləyəcək, biz əməkdaşlığa hazırıq və ümid edirik ki, vahid səylə demokratik dəyərlərə əsaslanan, vətəndaşların ehtiyaclarına yönəlmiş yerli özünüidarələri inkişaf etdirə biləcəyik. "- Bolnisi Bələdiyyəsinin meri Davit Şerazadişvili bildirib.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

„დიდგორელი“ მეხუთე წელია კომპანია არემჯის მხარდაჭერით ხორციელდება

სასკოლო-საგანმანათლებლო კონკურსი „დიდგორელი“ ბოლნისის მუნიციპალიტეტში უკვე მეორედ ტარდება. ისტორიის კონკურსმა მოსწავლე-ახალგაზრდებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

„დიდგორელი“ უნიკალური საკონკურსო პროექტია, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ისტორიული მოვლენების ფაქტობრივ ცოდნას, არამედ წარსულის ღრმად გააზრებას და განვითარებას. პროექტის მონაწილეები დამატებით ქართველი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებებს ეცნობიან და აკავშირებენ ისტორიულ წარსულთან. პროექტი თავისი ფორმატით და შინაარსით მიმართულია ახალგაზრდა თაობის საქართველოს ისტორიით დაინტერესებისა და ცნობიერების ამაღლებისკენ.

„სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე სწავლის პერიოდიდან მინდოდა მსგავსი პროექტის შექმნა. თუმცა, სისრულეში 2018 წლამდე ვერ მოვიყვანეთ. 2019 წელს კი შევძელით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. მე, როგორც ისტორიის პედაგოგმა, ვიცი, რომ ისტორია სკოლებში,

ჯერ კიდევ მეორეხარისხოვან საგნად ითვლება. „დიდგორელი“ ის პროექტია, რომელიც ისტორიის პოპულარიზაციას ემსახურება და შესაბამისად ამ პროექტის დამსახურებით მრავალმა ახალგაზრდამ შეიყვარა ეს საგანი. „დიდგორელში“ მონაწილეობის შემდეგ, აბიტურიენტებმა ეროვნულ გამოცდებზე განსაკუთრებით მაღალი შედეგები აჩვენეს და არაერთმა მოსწავლემ მიიღო გადაწყვეტილება ჩაებარებინა ისტორიის ფაკულტეტზე. პროექტმა ახალგაზრდებს შეაყვარა და გააცნო, ვასილ ბარნოვის, ლევან გოთუას და ნოდარ წულეისკირის შესანიშნავი ნაწარმოებები.“ - პროექტის იდეის ავტორი, ლევან ჟვანია.

პროექტ „დიდგორელს“ საფუძველი 2019 წელს თეთრიწყაროში ჩაეყარა. ამ დროისთვის თეთრიწყაროს, ბოლნისის, დმანისის, მარნეულის, გარდაბნის, წალკის, მესტიის და მცხეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, პროექტში ჩართული მონაააწილეების რაოდენობამ 2000-ს გადააჭარბა. „დიდგორელი“, არემჯის კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში განხორციელებული ერთ-ერთი პოპულარული საგანმანათლებლო პროექტია, რომელიც მთელი ქვეყნის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ ათასობით ახალგაზრდა მოსწავლეს აერთიანებს.

„ამ ეტაპისთვის „დიდგორელი“ ჩატარდა ქვემო ქართლის შვიდივე მუნიციპალიტეტში, აგრეთვე მესტიასა და მცხეთაში. ძალიან დიდი სურვილი აქვთ იმერეთის, კახეთის, სამცხე-ჯავახეთის და სხვა რეგიონებში მცხოვრებ პედაგოგებს და მოსწავლეებს „დიდგორელი“ ჩატარდეს მათ მუნიციპალიტეტებშიც. ვიმედოვნებთ, მომავალში გავახარებთ საქართველოს ყველა კუთხეში მცხოვრებ ახალგაზრდებს.

კონკურსში მონაწილე მოსწავლეებს და მათ პედაგოგებს წიგნებს, სხვადასხვა პრიზებს გადავცემთ საჩუქრად. გამარჯვებულს კი ენიშნება არემჯის 6 თვიანი სტიპენდია. შესაბამისად, რომ არა

კომპანია არემჯი, „დიდგორელის“ გუნდი პროექტის დაწყებას და ამ ყველაფრის განხორციელებას ვერ შეძლებდა. აღსანიშნავია, რომ კომპანია არემჯიმ „დიდგორელის“ მხარდაჭერით უამრავ მოსწავლეს და პედაგოგს მოუტანა დიდი სიხარული და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა განათლების მხარდასაჭერად. კომპანია იზიარებს და მხარს უჭერს „დიდგორელის“ ყველა კომპონენტის წამოწყებას, მოსწავლეთა კონფერენციას, მინი დოკუმენტური ფილმების მომზადება/ჩვენებას, ლექცია-სემინარების ჩატარებას და სხვა.“ პროექტის იდეის ავტორი, ლევან ჟვანია.

ისტორიის კონკურსი „დიდგორელი“, როგორც უკვე აღვნიშნეთ მეორედ იმართება ბოლნისის მუნიციპალიტეტში. თუ ვინ იქნება არემჯის სტიპენდიატი და კონკურსის გამარჯვებული სულ მალე გახდება ცნობილი.

ემზარ ყაფლანიშვილი

კომპანია არემჯის მძიმე ტექნიკის ექსპლუატაციის ექსკავატორის მემანქანე

„საქმეს, რომელსაც სიყვარულითა და ინტერესით აკეთებ რთული არასდროსაა. დიდი შრომის შედეგად, ადრე თუ გვიან მიზანს აღწევ და ამის შემდეგ ხდები შენი საქმის პროფესიონალი.“ - ემზარ ყაფლანიშვილი უკვე 38 წელია კომპანია არემჯიში ექსკავატორის მემანქანედ მუშაობს. პასუხისმგებლობა მისი საუკეთესო თვისებაა, რომელიც დაკისრებული მოვალეობის შესრულებას მარტივს ხდის. 1985 წელს, კაზრეთის პროფესიული ტექნიკური სასწავლებლის დასრულების შემდეგ დაიწყო მუშაობა კომპანიაში და მას შემდეგ ემსახურება სამთო საქმეს. ყოველდღიურად უწევს მძიმე ტექნიკის, ავტომობილების და ავტო თვითმცლელების დატვირთვა. თავდაუზოგავი შრომისთვის და საქმისადმი გამოჩენილი ერთგულებისთვის 2022 წლის 17 დეკემბერს „წლის სამთოელად“ დასახელდა.

„“წლის სამთოელის“ ჯილდომ დიდი სიხარული და ბედნიერება მომიტანა, რისთვისაც მადლობას ვუხდი არემჯის თითოეულ თანამშრომელს. წინასწარ არაფერი ვიცოდი, მართლაც მოულოდნელი იყო, ღონისძიების მსვლელობის დროს ჩემი სახელის და გვარის გაჟღერებამ ცოტა დამაბნია. შემდეგ, რომ გავიაზრე რა მოხდა ჩემს თავს, მივხვდი, რომ „წლის სამთოელის“ წოდება დიდი სტიმული და მოტივაციაა. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამშრომლებს კომპანია სიახლეებს მუდმივად სთავაზობს, იცვლება და უმჯობესდება თითოეული დასაქმებულის სამუშაო პირობები.“

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: მაგდა დევნოზაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი.
სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.